სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაN221220-3-4

ქ. თბილისი **22 დეკემბერი, 2020 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **მიხეილ ხიდურელის** სახით (მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, ტელ: +995 32 2960010, მობ: 598201000 ს/კ: 204582763, ტელ: 598201000; ელ-ფოსტა: ltsikolia@enterprise.gov.ge საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900) და მეორე მხრივ,

შპს „ჯეონეთი“, (შემდგომში„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ქევხიშვილის** სახით (მის.:ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #41, ტელ: 247 00 00 ფაქსი: 247 00 01 ელ-ფოსტა: billing@gphone.ge საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22, ა/ა № GE43BG 0000 0001 1840 2601 საიდენტიფიკაციო კოდი:204918321)

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის **2012 წლის 26 სექტემბრის #1805** განკარგულების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოშის (ო/კოდი 24 07 01) 2021 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. **შესყიდვის ობიექტია სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ საზოგადოებრივი სატელეფონო მომსახურების (შემდგომში - „მომსახურება“) შესყიდვა (CPV 64211000).**

2.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ადგილობრივი, საქალაქათაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული საუბრების უზრუნველყოფის მიზნით სატელეფონო მომსახურების გაწევა ხელშეკრულების შესაბამისად.

2.3. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს VOIP ტექნოლოგიის გამოყენებით, შემდეგი მრავალარხიანი სატელეფონო ნომრების მეშვეობით - 995322 950007; 995322 952090; 995322 960010.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, **შეადგენს არაუმეტეს 2,500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარს.**

3.2. **ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა. შესაბამისად, აღნიშნული აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმებას.**

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ტარიფები განისაზღვრება **დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.**

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადებია **2021 წლის 1 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,** უწყვეტად, 24 საათის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოები).

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია **ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18.**

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველი მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი ინფორმაციით;

5.1.3. სატელეფონო მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს საუბრების დროის წამობრივი დამრგვალება;

5.1.4. გაუმართავი მომსახურების შესახებ შემსყიდველისაგან წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეამოწმოს სატელეფონო ხაზი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 დღის განმავლობაში და შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს არსებული ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით;

5.1.5. დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების არსებობის შემთხვევაში 2 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ;

5.1.6. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ბილინგის მოწოდება ელექტრონული სახით ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე;

5.1.7. უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად სატელეფონო ნომრ(ებ)იდან განხორციელებული ფასიანი ზარების ლიმიტირება და ამ ლიმიტების კონტროლი.

5.1.8. არ გაამჟღავნოს შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავალიანების დაფარვა ხორციელდება მესამე პირის მიერ ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

5.1.9. ათი დღით ადრე წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს ინფორმაცია მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ.

5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.2.1. შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება (შეუზღუდოს გამავალი ზარი) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დააგვიანებს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდას, რის შესახებაც მიმწოდებელი შემსყიდველს ატყობინებს 5 სამუშაო დღით ადრე. შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხორციელდება შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის დასრულებამდე, აღნიშნულ პერიოდში შემსყიდველს ერიცხება სააბონენტო გადასახადი;

5.2.2. შეუწყვიტოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 კალენდარულ დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.3.1. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს მომსახურების მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად;

5.3.2. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.3.3. წერილობით შეატყობინოს მიმწოდებელს დაზიანების შესახებ, მისი წარმოშობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;

5.3.4. მომსახურების გაწევის ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, წინასწარ უზრუნველყოს მომსახურებით სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, ან/და წერილობით მოითხოვოს მომსახურების გაწევის მისამართის ცვლილება ან მომსახურების გაწევის შეწყვეტა დადგენილი წესის შესაბამისად;

5.3.5. მომსახურებით სარგებლობის უფლება მესამე პირს გადასცეს მხოლოდ მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

5.3.6. არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ადგილობრივი, საერთაშორისო ფასიანი ტრაფიკის ტერმინაციის ან/და გადამისამართების სქემაში;

5.3.7. შეატყობინოს მიმწოდებელს სპეციალიზებული სატელეფონო სადგურის (PBX, Asterisk და სხვა) არსებობის შესახებ და მიიღოს ზომები მისი დაცვისათვის, რათა არ მოხდეს მისი არასანქცირებული გამოყენება კომპანიის საზიანოდ.

5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.4.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც მიმწოდებელს აცნობოს ტარიფის შეცვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია აწარმოებს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირებას ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ „აწარმოე საქართველოში"-ის საქმისწარმოების სპეციალისტი ეკატერინე ბალისევიჩი (ტელ.: 595025811; ელ. ფოსტა: ebalisevichi@enterprise.gov.ge), ან შესყიდვების მენეჯერი ლევან ციკოლია (ltsikolia@enterprise.gov.ge) ერთობლივად, ან ცალ-ცალკე.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად ნასაუბრები წუთების/გაწეული მომსახურების დეტალური ამონაწერისა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება შემსყიდველის მხრიდან ენიჭება ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტში მითითებულ პირებს ერთობლივად, ან ცალ-ცალკე.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. და 9.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა 10%-ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეთა ურთერთშეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის თარიღიდან და **მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ადგილისა და მხარეთა რეკვიზიტების ნაწილში შემსყიდველის მისამართის ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეცნობება წერილობით ან/და საკომუნიკაციო ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლისადმი აღნიშნული შეტყობინების გაკეთება აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხების მომზადებას.

15.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

15.3. შემსყიდველის მხრიდან, ხელშეკრულებაზე ხელისმოწერი პირი, ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ **მიმწოდებლის** მიმართ სრულად აკმაყოფილებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

16. მხარეები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „აწარმოე საქართველოში"	შპს. "ჯეონეთი"
LEPL Enterprise Georgia Digitally signed by LEPL Enterprise Georgia DN: cn=LEPL Enterprise Georgia, 2.5.4.97=NTRGE-204582763, o=, c=GE Date: 2020.12.22 12:45:19 +04'00'	Geonet LLC Digitally signed by Geonet LLC Date: 2020.12.22 13:35:02 +04'00'

დანართი N1

დროის წამობრივი აღრიცხვა:

Georgia – 0,040 ლარი;

Georgia Beeline – 0,045 ლარი;

Georgia Geocell – 0,045 ლარი;

Georgia Magticom – 0,045 ლარი;

Georgia Globalcell – 0,150 ლარი;

Georgia Tbilisi – 0,030 ლარი;

International – 0,148 ლარი.

სააბონენტო გადასახადი შემდეგ სატელეფონო ნომრებზე:

N	ნომერი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ჯამი
1	995322 950007	თვე	12	1,00	12,00
2	995322 952090	თვე	12	1,00	12,00
3	995322 960010	თვე	12	1,00	12,00
					(36,00 ლარი)

შენიშვნა:
ფასები მოცემულია ლარში, კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.